გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 99

2023 წლის 9 ივნისი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან (ს.კ. 66.45.24.045) ნაწილი ფართის, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტომ (ს/ნ 204911337) 2023 წლის 29 მარტის N 879 წერილით დააყენა საკითხი გორის მუნიციპალიტეტის მერიის წინაშე, სადაც აღნიშნულია, რომ 2023 წლის პირველი იანვარიდან „ტანისა და თეძამის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, შეიქმნა ტანის აღკვეთილი. დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ მიმდინარეობს ტანის აღკვეთილის ადმინისტრაციის ჩამოყალიბება, რომელიც განახორციელებს კანონით განსაზღვრული აღკვეთილის ტერიტორიის გადმობარებას და შემდგომ მის მართვას. ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობამდე და ადმინისტრაციის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ მოთხოვნილია, გორის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან (ს.კ 66.45.24.045) ნაწილი ფართის, ერთი ოთახის (55.00 კვ.მ.) 2 (ორი) წლის ვადით, უსასყიდლოდ სარგებლობაში, უზუფრუქტის ფორმით გადაცემა. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს გადაეცეს ქალაქ გორში, სტალინის გამზირზე N 16-ში მდებარე შენობიდან (ს.კ. 66.45.24.045) ერთი ოთახი, 55 კვ.მ.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 122 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-6 პუნქტების შესაბამისად გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით გადასცეს სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტოს (ს/ნ 204911337) გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ: ქალაქ გორში, სტალინის გამზირზე N 16-ში მდებარე შენობაში (ს/კ 66.45.24.045) მესამე სართულზე არსებული ერთი ოთახი, 55 კვ.მ.

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**